ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 01-23/14

05/07/2021 14-01-23-4-202107051546

ქ.ქობულეთი

ვაჟა შავიშვილის მივლინების შესახებ

,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა და 2021 წლის 30 ივნისის N01/1/248 მომართვის საფუძველზე **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მივლინებულ იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ვაჟა შავიშვილი 2021 წლის 07 ივლისიდან ამა წლის 10 ივლისის ჩათვლით ბორჯომში, სასტუმრო ბორჯომი-ლიკანში , საქართველოს მთავრობის, კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) თანადაფინანსებით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ ფარგლებში გამართულ ტრენინგზე დასწრების მიზნით;

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ვაჟა შავიშვილის არყოფნის პერიოდში 2021 წლის 07 ივლისიდან 10 ივლისის ჩათვლით, მისი უფლებასილების განხორციელება დაევალოს კომისიის წევრს ედნარ თურმანიძეს;

3. დაფინანსება განხორციელდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მივლინების ხარჯიდან;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30);

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით მჭედლიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა